განათლება და რელიგიური ცნობიერება

ლევან ქურდიანი

ადამიანი რთული აგებულებისაა. ეს არის მარტივი წინადადება, რომელსაც ყველა ეთანხმება და რომელსაც ყველა განსხვავებულ, ზოგ შემთხვევაში ურთიერთსაპირისპირო, ინტერპრეტირებას უკეთებს. ადამიანი (ჩვენს მოხსენებაში სიტყვას "ადამიანი" კაცობრიობის აღმნიშვნელ კრებსით სიტყვად გამოვიყენებთ ხოლმე) დინამიურად იცვლება დროსა და სივრცეში. აქ განზრახ არ ვიყენებთ ტერმინს პროგრესირებს, რადგან ადამიანის ცვალებადობა, გარკვეული თვალსაზრისით, ხშირად არა პროგრესის, არამედ, სწორედ რეგრესის ნიშნით წარიმართებოდა და წარიმართება. ამ დინამიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და არსებითი ასპექტი არის სამყაროს შემეცნება. წმიდა წერილის მიხედვით, ეს ადამიანის, როგორც ღვთის ხატებისა და მსგავსების თვითრეალიზაციის ერთ-ერთი სახეა, გამოვლინებაა. სეკულარული ანთროპოლოგიის მიხედვით კი ევოლუცირებული პრიმატის თვითგადარჩენის საშუალება. ამ მარტივი მაგალითიდანაც ჩანს, რომ ადამიანის შესახებ არსებული წარმოდგენიდან გამომდინარე განსხვავებული იქნება დამოკიდებულებაც როგორც მისდამი ასევე სამყაროსადმი და ამ ორის ურთიერთობისადმიც. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით: ადამიანის არსებობისა და განვითარებისადმი ჩამოყალიბებული დამოკიდებულება განპირობებულია პასუხით კითხვაზე რა ურთიერთმიმართება არსებობს ადამიანსა და სამყაროს შორის?

ჩვენი მოხსენება ზოგადად შეეხება იმას, თუ როგორ ხედავდა, შეისწავლიდა, შეიმეცნებდა და შედეგად აღიარებდა ადამიანი საკუთერ თავს, სამყაროს და "აბსოლუტს" დასაბამიდან და ვიდრე უკანასკნელ დრომდე და როგორი შეიძლება იყოს მომავლის პერსპექტივა ამ კუთხით. თავისთავად ცხადია, რომ ამ ტექსტს, როგორც მოცულობით, ასევე ფორმატიდან გამომდინარე, არ აქვს არავითარი პრეტენზია და ამბიცია საკითხის სრული გარკვევისა. მიზნად დავისახეთ, მხოლოდ ძირითადი ნიშნულების მიმოხილვა და ასევე პრინციპული აქცენტების წამოწევა, რომლებიც ჩვენი აზრით ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში განათლების სფეროში განსახორციელებელი სამომავლო სტრატეგიისა და გეგმების უკეთ დანახვასა და დასახვას.

დედამიწის ისტორიული ხანა ადამიანის მიერ სულიერი, ინტელექტუალური და მატერიალური მონაპოვრის დაგროვებისა და მემკვიდრეობით გადაცემის ხანგრძლივი პროცესია. იმისგან დამოუკიდებლად, თუ ანთროპოგენეზის რომელ თეორიას დაუჭერს მხარს მკვლევარი – კრეაციონისტულს თუ ევოლუციონისტურს, იგი აუცილებლად დაეთანხმება ზემორე დებულებას. კაცობრიობა იძენს, აგროვებს და გადასცემს შემდეგ თაობებს იმას, რაც მისი აზრით აუცილებელია ადამიანის "ადამიანურობისთვის" (ადამიანში ჩადებული ღვთაებრივი არსის რეალიზებისთვის; ან ადამიანის, როგორც სახეობის გადარჩენისთვის). დღეისთვის მეცნიერებას არ აქვს პასუხი იმაზე თუ რა იყო ის პირველი და უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა, რომელიც ადამიანმა გააკეთა. წმიდა წერილი გვიყვება "პირველი გაკვეთილის" შესახებ: "*და თქვა ღმერთმა: არ არის კარგი კაცის მარტო ყოფნა; შევუქმნათ მას შემწე, მისი მსგავსი. და გამოსახა კიდევ ღმერთმა მიწისგან ველის ყველა მხეცი და ცის ყველა ფრინველი, და მიუყვანა ისინი ადამს, რათა ენახა, რას უწოდებდა მათ; და ყოველივე, რაც უწოდა ადამმა ცოცხალ სულს, ეს*

არის მისი სახელი. და უწოდა ადამმა სახელები ყველა პირუტყვს და ცის ყველა ფრინველს და ველის ყველა მხეცს, ხოლო ადამს არ მოეძებნა შემწე, თავისი მსგავსი." (დაბ. 2, 18-20). უფალმა ადამს კონკრეტული ცდით შეასწავლა და შეამეცნა, რომ მიუხედავად დიდი მსგავსებისა დედამიწის სხვა ცოცხალ არსებებთან, იგი (ადამი) მაინც არ არის მათი "მსგავსი" ამ სიტყვის ბიბლიური მნიშვნელობით, ხოლო ისინი არ არიან მისი მსგავსნი. ანუ მიუხედავად საერთო მეორადი ნიშნების პოვნიერებისა, ადამიანი მაინც რჩება ღვთის განსაკუთრებულ, უნიკალურ, სწორუპოვარ ქმნილებად – ადამიანი არ არის დედამიწის ცხოველქმედების, თუნდ პლანეტისათვის უფლის მიერ მინიჭებული, მაგრამ მაინც ბუნებრივი რეპროდუქციის შედეგი! დაცემამდე მიღებული ეს ცდისეული ცოდნა პირველად ააშკარავებს ადამის წინაშე საკუთარი ღვთაებრივი წარმომავლობის რეალურობას (შდრ. მაცხოვრის გენეალოგია ლუკა მახარებელთან – ლკ. 3, 23-38).

"მეორე გაკვეთილი" უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა: ადამიანმა პირველი შემთხვევისგან განსხვავებით, დამოუკიდებლად მოინდომა ცდის ჩატარება და როგორც დღესაც ემართებათ ურჩ მოსწავლეებს ქიმიის გაკვეთილზე – სასურველი წარმატებული შედეგის ნაცვლად მიიღო სხეულის (პირველ რიგში კი სულის) მძიმე დაზიანება, ხოლო სასურველი "ცოდნის" ნაცვლად კი მწარე გამოცდილება. როგორც ერთი ცნობილი გამონათქვამი გვასწავლის: გამოცდილება არის ის, რასაც ვიძენთ საწადელის მიღების სანაცვლოდ.

თანამედროვე ისტორიოგრაფია და მისი მომიჯნავე დარგები, სწორედ დაცემის შემდგომ პერიოდს შეისწავლიან. კაცობრიობის ეს პერიოდი დღემდე გრძელდება და ჩატარებული კვლევის მანძილზე უხვი მასალა დაგროვდა იმისათვის რომ გავარკვიოთ თუ როგორ განაგრძობდა ადამიანი საკუთარი თავისა და სამყაროს შესწავლას. "აბსოლუტის" შესწავლა-შემეცნებას ამავე თემის გაშლისას შევეხებით.

დაცემული ადამიანი ეტაპობრივად ახორციელებდა სამყაროში საკუთარი თავისა და საკუთარ თავში სამყაროს ცდისეულ აღმოჩენას. უძველესი კულტურებისა და ცივილიზაციების შესწავლის შედეგად ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ადამიანის პირველყოფილი (ვგულისხმობთ დაცემისშემდგომი პერიოდის) მსოფლმხედველობითი შეხედულებები და რწმენა-წარმოდგენები იცვლება და ხდება პრინციპული აბსტრაგირება და გაუცხოება უცოდველ მდგომარეობაში მიღებული ცოდნისაგან და თვით ამ ცოდნის პირველწყაროსაგან. ან ხდება სამოთხისეული ვითარების უმართებულო პროეცირება ედემსმიღმა გარესამყაროზე.

დამწერლობამდელი კაცობრიობის სწავლა-სწავლების სისტემაზე, ისევე როგორც იმ პერიოდის მსოფლმხედველობასა და რწმენა-წარმოდგენებზე მსჯელობა დიდ წილად შეიცავს არავერიფიცირებად დაშვებებსა და სადაო ჰიპოთეზებს. კონკრეტული არტეფაქტის იდენტიფიცირება და ინტერპრეტირება, ძირითადად, მხოლოდ თეორიულ მოდელებთან მეტ-ნაკლები თანხვედრით ფასდება. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია უშუალოდ დამწერლობის გაჩენის და შესაბამისად, ძველი ხალხების ზემოთხსენებული შეხედულებების სინქრონული ფიქსაციის ეპოქის მონაცემების შესწავლა. მათი კორექტული ანალიზი უკეთ წარმოაჩენს ჩვენთვის საინტერესო მდგომარეობას.

ძველი შუმერის თუ ეგვიპტის მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების სისტემები ამ პერიოდში უშუალოდ და უაღრესადაა დაკავშირებული ამ ხალხების რწმენა-წარმოდგენებთან და დამოკიდებულია ამ უკანასკნელზე. მიზეზი ის კი არაა, რომ უძველესი სასწავლებლები ტაძრებთან თანაარსებობდა, არამედ სწორედ პირიქით – ცოდნის ზეციური წარმომავლობა არის მიზეზი იმისა, რომ სასწავლებლები კონცენტრირდება უპირატესად რელიგიური კერების გარშემო.

ჩვენს მოხსენებაში პირველად ვახსენეთ სიტყვა რელიგია. აქამდე მხოლოდ რწმენა-წარმოდგენებზე ვსაუბრობდით. ვფიქრობთ უპრიანია შევეხოთ რწმენისა და რელიგიური გრძნობის, რელიგიური ცნობიერების, რელიგიურობის ურთიერთმიმართებას. რწმენა წარმოადგენს საყოველთაო, ზოგადსაკაცობრიო ფენომენს. ყველა ადამიანს სწამს: ზოგს რეალობის ირეალურობისა; ზოგს - ფიზიკური მატერიის მარადიულობის, თვითკმარობისა და თავისთავადობისა; ზოგს – მეტაფიზიკური ძალების არსებობისა; ზოგს – ერთადერთი "რაღაც აბსოლუტის" არსებობისა; ზოგს - ამ აბსოლუტის პიროვნულობისა და ა.შ. ანუ ადამიანს შეუძლია (აქვს უნარი) შეაბრუნოს რწმენა 360º-ით, მაგრამ რწმენა, როგორც ასეთი მუდამ იარსებებს მასთან, ადამიანთან ერთად. მსგავსი უნივერსალურობა <u>არ</u> ახასიათებს რელიგიურობას. ერთი მხრივ ამას თვით პირადი მრწამსი განაპირობებს, მეორე მხრივ კი ე.წ. "მორწმუნის" პიროვნული მზაობა, თუ სოციალური მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების რწმენა აისახება მის როგორც სულიერ, ასევე ხორციელ მხარეზეც. ორივე შემთხვევაში რწმენა პოულობს თვითრეალიზაციის ფორმას: იქნება ეს მისტიურ-ზნეობითი, თუ ინტელექტუალურ-შრომითი გამოვლინება. მათი ადექვატური, თანმიმდევრული და ჰარმონიული განვითარება აუცილებლად ითხოვს რელიგიური გრძნობისა და რელიგიური ცნობიერების, გაღვივებას პიროვნებაში (კონკრეტული სულისა და მისი ხორცის ერთობაში). ამ გრძნობისა და ცნობიერების პრაქტიკული, ემპირიული აქტუალიზაცია კი ბადებს პიროვნების რელიგიურობას, როგორც მისი ეგზისტენციის ერთადერთ შესაძლო ფორმას.

რელიგიურობა პირადი მრწამსის მოწესრიგება-რეგულირების ყველაზე აღმატებული სახეა. რელიგიურობა იმ მდგომარეობის ჩანასახია, რომლის დროსაც იწყება პირადი, გაცნობიერებული ერთგულება საკუთარი რელიგიური ფასეულობებისადმი. აქაც და შემდგომშიც შევეცდებით ზოგადად რელიგიურობაზე ვისაუბროთ კონკრეტული რელიგიისა თუ კონფესიის დასახელების გარეშე, თუმც თავისთავად ცხადია, რომ უპირატესად მართლმადიდებელი ეკლესიის შვილების რელიგიურობას ვიგულისხმებთ.

ძირითად თემას დავუბრუნდეთ: კაცობრიობა უძველესი დროიდან თვლიდა ცოდნას და შესაბამისად სწავლა-სწავლების პროცესს და მის შედეგს ზებუნებრივ რეალობასთან მიახლებად ან მიახლოებად. აქედან გამომდინარე სწავლა-სწავლება და შემეცნება ავტომატურად იძენდა ძველი ადამიანებისთვის რელიგიურ ელფერს. ცნობილია, რომ ძველი ეგვიპტელები საკუთარ დამწერლობას "საღვთო მწერლობად" მოიხსენებდნენ. თვით ჩვენში დამკვიდრებული სახელწოდება ამ დამწერლობისა – იეროგლიფები თარგმანია ძველეგვიპტურიდან, რომელიც კლიმენტი ალექსანდრიელთან გვხვდება პირველად და შემდეგ მტკიცედ იმკვიდრებს ადგილს მსოფლიოს მრავალ

ენაში. იმავე ძველი ეგვიპტელების ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა – მათემატიკური წილადები გამოისახებოდა, როგორც ღვთაება ჰორის თვალის სხვადასხვა ნაწილები. საერთოდ ნილოსის დელტის მოსახლეობის ცოდნა ამა თუ იმ დარგში საუკეთესო მაგალითია ძველი ხალხების მეცნირების პანთეისტურობისა. ღმერთები არიან ყველგან, ყველაფერში და ყოველთვის: ტექსტის წერისას პირველი ნიშანი კონკრეტული ღვთაება ან რაიმე ცალსახად საკრალური ცნება ან ნივთი უნდა ყოფილიყო; დღისა და ღამის ყოველ საათს, ყოველ დილას, ყოველ შუადღესა და ყოველ საღამოს, ყოველი თვის ყოველ დღესა და ყოველ ღამეს, ყოველ თვეს, ყოველ სეზონს, ყოველ წელს და ყოველ მოქცევასაც კი (ვარსკვლავ სირიუსის 1461 წლიანი ციკლი, რომელსაც სოთისის ციკლი ერქვა) საკუთარი ცალკე ღვთაება უნდა ჰყოლოდა. ისევე როგორც ყველა ტოპონიმს, თუ ჰიდრონიმს (ეს უკანასკნელი განსაკუთრებული სიუხვით არ გამოირჩეოდა), ყველა გეოგრაფიულ არეალს, ყველა ქალაქს, ყველა მნიშვნელოვან ნაგებობას და ა.შ. აღსანიშნია, რომ ფარაონმა ამენჰოთეფ IV-მ, იგივე ეხნათონმა საკუთარი რეფორმატორული ქმედებების ბაზად და ახალ დედაქალად თანამედროვე ელ-ამარნას ტერიტორია სწორედ იმიტომ აარჩია, რომ მისივე სიტყვით: "ადრე ეს მიწა არასდროს არ ეკუთვნოდა არცერთ ღმერთს". მისი დროიდან კი ამ მიწის საკრალიზებაც მოხდა. ანუ საკუთარი გარემოს შესწავლისას ძველი ეგვიპტელი პრაქტიკულად შეიმეცნებდა ღმერთების სამყაროს და შესაბამისად ცხოვრობდა ამ სამყაროში.

თანამდეროვე მეცნიერთა ნაწილში გავრცელებული მოსაზრება, რომ სამყაროს რელიგიური ნიშნით მოდელირება ადამიანმა საკუთარი თვითგადარჩენისთვის წამოიწყო ვერ პოულობს ცალსახა დადასტურებას უძველესი ხალხების მიერ შექმნილ კულტურულ მემკვიდრეობაში და მხოლოდ და მხოლოდ ეფუძნება ათეისტურ ჰიპოთეზას მეტაფიზიკური სამყაროს არარსებობისა და ადამიანის პალეოპრიმატთაგან წარმომავლობის შესახებ. მაგრამ ანთროპოლოგთა თეორიული რეკონსტრუქციებისა და კონცეპტების მიუხედავად ცალსახაა, რომ თვით ძველი ადამიანი დარწმუნებული იყო ზებუნებრივი გონიერი ძალების არსებობაში (თუნდ ეს გონიერება სტიქიურ და არა პიროვნულ ძალად აღქმულიყო ზოგ შემთხვევაში) და აღიქვამდა რა გონიერებას საერთო ნიშნად საკუთარ თავსა და "იმ ძალას" შორის, ცდილობდა "მასთან" მიახლოებას, ჰარმონიულ თანაცხოვრებას და ამით საკუთარი არსებობის გამართლებასა და საკუთარი პოტენციალის რეალიზებას.

უკვე მოგახსენეთ და გავიმეორებ, რომ რელიგიურად მოტივირებული სწავლა-სწავლების პროცესი შრომითთან, ინტელექტუალურთან და მისტიურთან ერთად აუცილებლად მოიცავს ეთიკურსაც. ზნეობრივი კომპონენტი ორიენტირებულია რელიგიურ ფასეულობებზე და იმართება ამ ფასეულობებით. წარმართული პოლითეისტური სისტემის პირობებში მორალური ორიენტირები ვარირებდა კონკრეტული კულტის ლოკალიზაციისა და პრიმატის შესაბამისად, მაგრამ თვით არსი სწავლის, შემეცნების და რელიგიური თვითრეალიზების ეთიკური აუცილებლობისა ურყევად რჩებოდა კულტურის ძირითად ნიშან-სვეტად. დავაზუსტებთ, რომ ეთიკური ნიშნები შესაძლოა ურთიერთსაპირისპირო ყოფილიყო სხვადასხვა დროში და ხალხში. მითუმეტეს, რომ ეს ნიშნები, როგორც წესი, საფუძველშივე განსხვავდებოდა ქრისტიანულისგან.

კაცობრიობა იზრდებოდა, მრავლდებოდა, ფართოვდებოდა და როგორც შხეფი წყაროსთავს, ისე ქაოტურად და უსისტემოდ შორდებოდა საკუთარი რელიგიური ცნობიერების სათავეს. ენობრივი, კულტურული, სოციალური და ა.შ. სხვაობები მატულობდა. იწყებოდა ხანა როდესაც პირვანდელმა რწმენა-წარმოდგენებმა საკუთარი მრავალფეროვნებისა და განსხვავებული კულტების სინკრეტიზმის სტადიას მიაღწია. ეს უკვე ერთგვარი კრიზისის წინა პირობა იყო. მითოლოგიური ცნობიერება თეოლოგიური მსოფლმხედველობითა და ფილოსოფიური აზროვნებით უნდა ჩანაცვლებულიყო. ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეული და განსაკუთრებით მისი შუა პერიოდი მსოფლიოში ხასიათდება სწორედ ამ ნიშნების აქცენტირებით, რომელთა ერთი პოლუსი მწყობრი რელიგიური თეოლოგიურ-ლიტურგიკული, მეორე მხრივ კი ათეისტური ფილოსოფიური სისტემებია და ბუნებრივია ამ ორს შორის მოქცეული უაღრესად ჭრელი სპექტრი ზოგადად მეტაფიზიკური, თუ სავსებით მატერიალისტური შეხედულებებისა.

სწავლა-სწავლების და აღზრდის სისტემა აქაც თანაარსებობენ, ანუ ანტიკური და ელინისტური სამყარო ინარჩუნებს არქაული ხანის განათლების სისტემის იმ მთავარ ნიშანს, რომლის საბოლოო დაგვირგვინებაც მოხდება ქრისტიანულ საგანმანათლებლო მოღვაწეობაში.

სწორედ ამ დროს გახდა განსაკუთრებით თვალშისაცემი, რომ მთავარია არა ის თუ რას უყურებ, არამედ ის, თუ რას ხედავ. დაკვირვების, შესწავლის და შემეცნების ობიექტებად კვლავ რჩება "აბსოლუტი", გარესამყარო და ადამიანი. მაგრამ დამოკიდებულება მათდამი, მათი შეფასება და დაფასება პრინციპულად შორდება ერთმანეთს და ზოგ შემთხვევაში მიდის რომელიმე მათგანის, ან უკიდურეს შემთხვევაში ყველა მათგანის ღირებულებისა და თვით არსებობის უარყოფამდეც კი.

ქრისტიანობამ შეძლო ძველაღთქმისეული ე.წ. წინასწარმეტყველთა სასწავლებლების და ბერძნული აკადემია-ლიცეუმების საუკეთესო ტრადიციების თავმოყრა და საკუთარი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება. პირველი და უმთავრესი მიზანი ქრისტიანული სასწავლებლებისა, რა თქმა უნდა იყო სიტყვა და ენა. უფრო სწორად მათი ღვთისმსახურებაში ჩართვა. ის უნიკალური ფილოლოგიურ-ლინგვისტური შრომა, რომელიც აისახა თუნდ ათეულობით დამწერლობისა და ამ დამწერლობების ენებზე წმიდა წერილის თარგმნით (მოგეხსენებათ წმიდა წერილის ლექსიკა ადამიანის ყოფის პრაქტიკულად ყველა სფეროს მოიცავს და მისი გადატანა სხვა ენებზე საჭიროებს, როგორც თავად ბიბლიის სამყაროს, ასევე ახლადმოქცეული ხალხ(ებ)ის ეთნოგრაფიის, ფსიქოლოგიის, კულტურული ღირებულებებისა და საერთოდ მოღვაწეობის ყოველი დარგის ჭეშმარიტად ენციკლოპედიურ ცოდნას), კმარა იმის საილუსტრაციოდ, რომ მხოლოდ ამ სისტემაში ჰპოვა ტერმინმა "განათლება" სრული რეალიზება. ქრისტიანული განმანათლებლობით ყოველმა ერმა "*რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი, და რომელნი სხდეს სოფელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ*". (მთ. 4,16)

ქრისტიქნული თეოლოგია საკუთარ ეთიკას აყალიბებს და ეს ეთიკა სრულად ეყრდნობა უმთავრეს დოგმატს ერთარსება სამსახოვანი ღმერთის შესახებ, რომელიც აცხადებს, რომ "*ღმერთი სიყუარული არს და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა*" (I ინ. 4,16). ქრისტიანული განათლება გულისხმობს ადამიანის გონიერ, გაცნობიერებულ, თავისუფალ მომზადებას მისი ყველა

ბუნებრივი თვისების და თვით ბუნების ფერისცვალებისათვის. ამ სისტემაში სწავლა-სწავლება მხოლოდ მაშინ იძენს ღირებულებას, როცა იგი ერწყმის და ამტკიცებს ზნეობრივი აღზრდისა და სრულყოფის პროცესს. მოსწავლის ინფორმაციით გამდიდრება და მისი ანალიტიკური იარაღითა და უნარჩვევებით აღჭურვა არ მიიჩნევა უმთავრეს ამოცანად. არა ცოდნის დაკნინების მიზნით, არამედ სწორედ ამ იარაღის ძალისა და მნიშვნელობის სრული გაცნობიერებით: კაცობრიობის ისტორიამ უკვე არაერთხელ დაგვანახა, თუ რას ნიშნავს ცოდნის დამანგრეველი ძალა...

გარდა ზნეობრივი ასპექტისა, არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა რელიგიურ და არარელიგიურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემებს შორის. ეს არის დამოკიდებულება კონკრეტული მეცნიერების, კონკრეტული დისციპლინის კომპეტენციის ზღვრისადმი. როგორც ცნობილია ყოველი მეცნიერება კომპეტენტურია საკუთარ მიმოქცევის არეალის ფარგლებში. მათ მიღმა კი იგი უძლურია, რადგან მისი საკვლევი ობიექტისა და მეთოდოლოგიის, წესებისა და კანონების გავრცელების ველის გარეთ მეცნიერება უიარაღოა.

სავსებით გაუგებარია დღეისთვის გავრცელებული მოსაზრება, რომ რელიგია და რელიგიურობა დაბრკოლებას უქმნის მეცნიერებას. როგორც უკვე ვთქვით, ყოველი მეცნიერება აღიარებს თავისი კომპეტენციის საზღვრებს, რომელთაგან ერთ-ერთს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ "დასაწყისი". აი ამ "დასაწყისის" წანამძღვრები ყოველთვის იყო და არის მეტაფიზიკური, ფილოსოფიური, თეოლოგიური. ამიტომ დაპირისპირება შესაძლებელია არა მეცნიერებასა და რელიგიას შორის, რადგან ისინი ვერ და არ გადაცდებიან საკუთარი კომპეტენციის ზღვარს, არამედ იმ მეცნირებსა და რელიგიურ პირებს შორის, რომლებიც ამ კომპეტენციის საზღვრებს ვერ ხედავენ და შესაბამისად არაკორექტულად ეპყრობიან და ლახავენ მათ. იმედია კაცობრიობამ მიაღწია განვითარების იმ სტადიას, როდესაც კონკრეტული პირის კონკრეტული დანაშაულის განზოგადება არ მოხდება მთელ სისტემაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერება ადამიანის თვითრეალიზების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი ფორმაა. იგი თვითმიზანიც კია ზოგი მსოფლმხედველობის მატარებელთათვის. ქრისტიანობა, წმიდა პავლე მოციქულიდან მოყოლებული, მეცნიერებას (ხილული სამყაროს შემეცნებას და ამ შემეცნებით მიღებული ცოდნის შედეგებზე დაყრდნობით (თანამედროვე ენით რომ ვთქვათ) სიცოცხლის შესახებ თეორიული მოდელების: ჰიპოთეზებისა და თეორიების ჩამოყალიბებას) წარმართთათვის ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად თვლიდა ღვთის შემეცნების გზაზე.

არსებობს კიდევ ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი მხარე, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია: წერტილად რაიმე აღიქმება მანამ, სანამ ამ ობიექტს არ განვიხილავთ კიდევ ერთ სიბრტყეში, რომელიც შეძლებს მის (დაკვირვებადი ობიექტის) სავარაუდო წრფეობის დადასტურებას ან უარყოფას. ზუსტად ასევე, ორგანზომილებიან სიბრტყეში კვადრატად აღქმული ფიგურის ჭეშმარიტ ფორმას: რეალურ კვადრატულობას ან რეალურ კუბურობას მესამე განზომილების დამატება ააშკარავებს. ამ მაგალითებიდან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ სრული სურათის დასანახად საჭიროა "დაკვირვებადი ობიექტის" კომპლექსური აღქმა. ამ შემთხვევაში მხედველობის ნებისმიერი კუთხის უგულვებელყოფა, ან მისი მონაცემების გაუთვალისწინებლობა

აუცილებლად გამოიწვევს გამოტანილი დასკვნის უზუსტობასა და სიმცდარეს. შესაბამისად სამყაროს შემეცნებისას და მის შესახებ "მეცნიერული სურათის" შექმნისას, რელიგიური ხედვის იგნორირება მხოლოდ მიღებული შედეგის ნაკლოვანებას მოიტანს.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მეცნიერება, როგორც მკვლევართა მიერ დაგროვებული ინტელექტუალური ცოდნის სისტემატიზებული სახე მემკვიდრეობით სწორედ განათლების (სწავლა-სწავლების და აღზრდის) სისტემის საშუალებით გადაეცემა შემდგომ თაობებს. ანუ მეცნიერება არის როგორც სწავლა-განათლებისთვის გამოსადეგი მასალის საბადო, ასევე, ამ განათლების შედეგად შესავსები და შევსებადი საუნჯე. რასაც მივყავართ იმ დასკვნასთან, რომ განათლებით აღჭურვილ ახალ თაობას მეცნიერება უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აჰყავდეს, ამდიდრებდეს და ავსებდეს მას. თავის მხრივ მეცნიერება უნდა ეხმარებოდეს ადამიანის პიროვნული, შინაგანი აქტივობის უზენაესი გამოვლინების – რელიგიური ცნობიერების, კერძოდ კი მისი ლოგიკური შემადგენლის სრულყოფას. ეს ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რელიგიური ცნობიერების რეალიზება, მისი სისტემატიზაცია არსებითია. რელიგია მეტალოგიკურია, იგი მოიცავს ლოგიკას და აღემატერბა მას. სწორედ ლოგიკური, სააზროვნო მხარის მოწესრიგება არის ის სფერო, რომელშიც სწორი საგანმანათლებლო მუშაობის შედეგად განვითარებული მეცნიერული ხედვა ასრულებს ფასდაუდებელ საქმეს. სქემატურად რწმენას (რელიგიურ ცნობიერებას), მეცნიერებასა და განათლებას შორის არსებული ურთიერთობა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

რწმენა > მეცნიერება > განათლება > მეცნიერება > რწმენა

ეს სქემა ცხადყოფს, რომ განათლებასა და მეცნიერებას მიზეზადაც და მიზნადაც რწმენა აქვს. ეს კი აუცილებელს ხდის სწავლა-განათლებისა და მეცნიერული მუშაობის პროცესში ზნეობრივი კომპონენტის აქცენტირებას. სწორედ ამ მხრივ ვლინდება ის უნიკალური წვლილი, რომლის შეტანაც შეუძლია ეკლესიას. ქრისტეს მისტიერ სხეულში დაგროვებული სწორუპოვარი გამოცხადებითი და გამოცდილებითი მემკვიდრეობა ქმნის იმ განუმეორებელ პირობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის იმ სახის პიროვნებების აღზრდას, რომელიც შეძლებს ზრუნვას გულის გაიგონიერებისთვის და უფლის მოახლოებისას არა ადამივით დამალვას, არამედ სამოელ წინასწარმეტყველივით თქმას "აქ ვარ უფალო". ზოგ შემთხვევაში კი პირველმამამთავრის დაცემული ბუნების ორმოცდათექვსმეტსაუკუნოვანი დუმილის შემდეგ, ანდრიასა და იოანეს მსგავსად თქმას "მოძღუარ, სადა იყოფი?" და ქრისტეს ნათლის მიღებას და მოწმობას წუთისოფლის წინაშე, რომ ჭეშმარიტი თავისუფლების მონიჭება მხოლოდ ჭეშმარიტებას დამ ის შეცნობას მოაქვს.